№ 246
პარასკევი, 10 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 246
პარასკევი, 10 ნოემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

კვირას, ნოემბრის 12 სა, დიდუბის ეკკლესიაში, გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი

**დიმიტრი ბაქრაძის და ალექსანდრე რონინაშვილის**

სულის მოსახსენებლად, ხოლო პანაშვიდის შემდეგ იქმნება მათი საფლავის ძეგლის კურთხევა.

სოხუმის ეპარქიის **ახალ ათონის სვიმონ კანანიტელის მონასტრის მთავრობამ** უწმიდესის სინოდის 1900 წ. 15 ოქტომბ № 6278 ბრძანების ძალით, ნება-რთვა მიიღო, რომ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში, რომელიც ტფილისის მე-5 ნაწილში იმყოფება ეგზარხოსის ქუჩაზედ, **საჯარო ვაჭრობა** დანიშნოს თავისს საკუთარ ქონებისა, რომელიც ტფილისის 1-ლ ნაწილში მდებარეობს, ყორღანოვის ქუჩაზედ, № 14. ქონებას შეადგენს: ორ-სართულიანი სახლი და ფლიგელი თავისის საოჯახო მინაშენებით; სახლი და სხვა შენობები დამწვარი აგურით არის აშენებული ქვის საძირკველზედ, მიწა ზომით 290,18 ოთხ-კუთხი საჟ., სახლს საზღვრავს: ჩრდილოეთით სახლი და მიწა ქ-ნის სა-უსისა, სამხრეთით—სახლი და მიწა ქ-ნის სტაროსელსკისა, რომელიც წინად ინჟინერის ალაპოვისა იყო, აღმოსავლეთით—ყორღანოვის ქუჩადა დასავლეთით ანასტასიევის ქუჩა. სახლი და მიწა დაფასებულია 30,000 მანეთად.

ზემოხსენებულ ქონების საჯარო ვაჭრობა 1901 წ. 12 იანვრის 12 საათზედ მოხდება და სამის დღის შემდეგ გამეორებულ იქმნება. ვაჭრობა 30,000 მანეთიდგან დაიწყება, როგორც უწმ. სინოდიდგან ნება-რთვის გამოტანის დროს იქმნა დაფ სებული. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება და ამ ქონების შეძენა ჰსურს, დანიშნულ დროზედ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიაში, უნდა გამოცხადდეს, სადაც შეიძლება ქონების აღწერილობის და ამ საქმის ყოველის საბუთების ნახვა. ამ კანცელარიაშივე მოხდება საჯარო ვაჭრობა და აქვე უნდა გამოცხადნენ, ან წარმოგზავნონ თავიანთი რწმუნებულნი და მსურველთ თავისი განცხადებანი, რომელნიც 1857 წ. გამოცემულ სახაზ. იჯარ. დადგენ. მე X ტომის I ნაწილის 1909 მუხლის თანახმად უნდა იყოს დაწერილნი; განცხადებასთანვე ერთად უნდა წარადგინონ დაფასების 10% გირაოდ, ფულად იქნება თუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. საჯარო ვაჭრობისა და აგრეთვე ვაჭრობის განმეორების დღეს მსურველთ შეუძლიანთ ვაჭრობაში სიტყვიერი საცილობო მონაწილეობა მიიღონ. ამასთანავე ცხადდება, რომ საჯარო ვაჭრობით სყიდვის ყოველივე ხარჯი მსყიდველს დაეკისრება.

ახალ ათონის სიმონ კანანიტელის მონასტრის რწმუნებული ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი **ილარიონი**. (3—ჯ20—2)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ დაცლილია

**წინარეხის**

სკოლის მასწავლებლის ადგილი და მასწავლებლობის მსურველმა თხოვნით უნდა მიჰმართოს გამგეობას. მასწავლებელს ჯამაგირი ექმნება 350 მანეთი. (1)

**კბილის ექიმი**
**ა. გ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათ. მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** დიდი ხანია, მთავრობამ გადასწყვიტა გაყვანილ იქმნას კახეთის რკინის გზა და როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ამა წლის ათს მარტს უმაღლესის მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა მეაქციეთა საზოგადოების წესდება. ამ საქმეს აქამდის ის აყოვნებდა, რომ რკინის გზის გამყვანი ამხანაგობა ვერ შეედგინათ და ამ საქმისათვის საჭირო თანხა ვერ ეშოვნათ. ეხლა გაზეთ „С.-Петер. Вѣд". სარწმუნო წყაროდგან შეუტყვია, რომ ამ დღეებში შემდგარა ფრანგ ფულიან კაცთა ამხანაგობა, რომელსაც 350,000 მანეთი წარუდგენია სახელმწიფო ბანკისათვის. მთლად ამ გზის გასაყვანად ამიერ კავკასიის რკინის გზის სად. ავჭალიდგან ს. საქობომდე ხარჯი აღრიცხულია 12,000,000 მან. ამ გვარად, კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე ჩქარა განხორციელდება და ამ მოკლე ხანში შეუდგებიან კიდეც მუშაობას.

*** კვირას, 12 ნოემბერს, დიდუბის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ჩვენის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძისა და ალექსანდრე რონინაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ აკურთხებენ განსვენებულთა საფლავზე გაკეთებულს ძეგლებს.

*** როგორც „Вѣстникъ Сельскаго Хозяйства"-ს შეუტყვია, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია კახეთში მევენახეობის ინსტრუქტორთა რიცხვი გაამრავლოს და მევენახეობის სკოლა დააარსოს.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი მამა გერმოგენი ქ. ბლაგოვეშჩენსკში გადაჰყავთ ეპისკოპოსად.

*** სამშაბათს, 7 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ცეცხლი გაუჩნდა კავკასიის მთავარ მართებლის კანცელარიის სასამართლოს ნაწილს. ცე-

## ფელეტონი

**რომელს მირჩევთ?**

ვენაცვალე ჩემს კოტეს, რა ტკბილადა სძინავს! წაილაპარაკა სახლიდგან გარედ გამომავალმა მაკრინემ.

— ჰაი, ჰაი, რო კარგად დეეძინებოდა გუშინდელ ცხენით ნამგზავრს, უპასუხა თავისს მეუღლეს თავადმა რეზომ, რომელიც კაკლის ქვეშ გრილოში ჩაის მიირთმევდა.

— ეხლა, ქალო, რა უნდა გამოვიდეს თქვენი კოტე? ჰკითხა მაკრინეს მისმა მოხუცებულმა დეიდამ.

— აბა რა ვიცი... მე ვეუბნები, „დოხტურათ" წადი-მეთქი, ეს კი (თავისს ქმარზედ ანიშნა) ჩასციებია, ინჟინერი გამოდიო...

— მა რა, გააწყვეტინა სიტყვა რეზომ, „დოხტური" რაში მესაჭიროება, კუჭი მაქვს მოშლილი, თუ ძარღვები! კარგად ვჭამ და კარგად გიახლები ღვინოს... ფული, ფულია ეხლა „დოხტურიცა" და წამალიც!..

— შენ ხომ მარტო ჭამისა და სმის მეტი არა გაგონდება-რა!.. ე ვალებში რო ხარ ჩამხჩვალი, იმას-კი არა ჰფიქრობ?!. მკვახედ მიუგო მაკრინემ.

— აბა, დაიწყე!.. მერე ვის გულისთვის? „დოხტური" უნდა გამოვიდეს ჩემი კოტეო!" გაჯავრა რეზომ ცოლს: ვისი წყალობით? ვინ გაზარდა, ვინ გაათავებინა გიმნაზია? მოიკითხე, მამა ნუ გიცხონდება, ჩვენ ხეობაზედ რომელმა თავადმა, ან აზნაურშვილმა დაზარდა ისე შვილები, როგორც მე? თავ-მომწონედ მიუგო გაჯავრებულმა რეზომ მაკრინეს.

— შენმა მზემ, შენის ვაჟკაცობით!.. ჯერ იყო და, ჰყიდე მამულები, და მერე, რისაც გაყიდვა ვერ მოახერხე, ყველა დააგირავე და ორჯელ გადააგირავე ბანკებში... „შვილებსა ვზრდი, შვილებსო!" შვილებსა კი არა, შენი მუცელი უფრო გაზარდე... ერთი აბაზი რო შვილებზედ დახარჯო, ერთი თუმანი შენ უნდა გადაყლაპო!..

— მაშ არა, შენ არ მომიკვდე, შიმშილით თავს მოვიკლავ! ე ხომ გამოვზარდე, ეხლა მაგათ იშოვნონ და დაიხსნან მამულები.

ამათ გაცხარებულ ბაასში კოტეს გულიანად ეძინა და საუცხოვო სიზმარში იყო გართული. ერთ კოხტა ცხენზედ იჯდა და იორღით შინისკენ მიერეკებოდა, უკან ჩაქჩაქით თედო მისდევდა. სახლხს უახლოვდებოდა და მღელვარება ეტყობოდა, მაგრამ უცბად შესდგა, გზა სამად გაიყო, არ იცოდა რომელს დასდგომოდა, თედოსაკენ მიიხედა, თედო არსად იყო, მარტოდ მარტო დარჩა. მალე ერთი მოხუცი გამოეცხადა, ანიშნა გამომყეო, კოტეც გაჰყვა; ბევრი იარეს... აგერ მიუახლოვდნენ ერთ ბაღს. ნიკომ აღტაცებით დაუწყო ცქერა... ღმერთო! რა გასაშტერებელი მშვენიერია, ნამდვილი ედემია...

თავისს დღეში ამის მაგვარი ბაღი არ უნახავს, რა წკრიალა გზებია, რა მომხიბვლელად არის შეხამებული ერთმანეთში ხეები, თითქმის ყვავილების თაიგულიაო!.. ეს რაღა არის!.. ტბა, შიგ ბაღში! როგორც სარკეში, ისე სჩანან მისს ნაპირზედ ამწვანებული ხე-ბუჩქები! აგერ ნავიც, რა ლამაზია, რა ნაირად დასცურავს, თითქოს კოხტა გედიაო!.. კოტე შეჩერდა, უნდოდა დიდხანს ეცქირა ამ საოცნებო წალკოტისათვის, მაგრამ მოხუცი არ აცლიდა. მიდიან... ერთს სახლს მიუახლოვდნენ, „ეს ვისი სახლია"?! გიჟსავით შეჰყვირა კოტემ, განცვიფრდა რა მისის მშვენიერებით. ამის მსგავსი სახლი ხომ სიზმარშიაც არ უნახავს. კოტე გაჩერდა და პირ-დაღებულმა ცქერა დაუწყო. მოხუცმა ხელი მოჰკიდა და სახლში შეიყვანა, ოთახები დაატარა. იმათს მორთულობას კოტე თვალს ვერ აშორებდა... „დაბრძანდით, ხომ არ დაიღალეთ?" დაეკითხა მოხუცი კოტეს და სავარძელზედ მიუთითა. კოტემ უკან დაიწია, ვერ გაბედა ძვირფასად მორთულ სავარძელზედ ჩამოჯდომა. მოხუცს გაეღიმა და სახლიდგან გამოიყვანა. ცოტა გასცილდნენ თუ არა, სახლთან საუცხოვო ეტლი დადგა. რა ცხენები ება! საარაკო რაშებსა ჰგვანდნენ... ოჰ, რა ბედნიერია იმათი პატრონი!.. მე რომ ვიყო!.. გაივლო გონებაში კოტემ და მთლად აენთო, გულმა ძაგა-ძუგი დაიწყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხლის გაჩენა მალე შეიტყო ცეცხლის მქრობელ რაზმმა, რომელმაც რამდენიმე წამის შემდეგ კიდეც ჩააქრო ცეცხლი. ზარალი მცირეა. დაიწვა მხოლოდ ერთი შკაფის გვერდი და ზოგიერთი საქმეები, რომელიც შკაფში ინახებოდა. მალე ადგილობრივ მოვიდნენ ვიცე დირექტორი კანცელარიისა პოლკოვნიკი ვ. ო. ტროფიმოვი და ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი. ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

*** ამ დღეებში კავკასიაში მოელიან გამმიჯვნელ ნაწილის მმართველს ნ. ე. შმემანს.

*** შაბათს, 11 ნოემბერს, საღამოს 7½ საათზედ, 1 გიმნაზიაში საზოგადო-განათლების კურსების ლექტორთა კრება მოხდება, კრებას ყველას შეუძლიან დაესწროს.

*** ორს ბელგიის საზოგადოებას გაუგზავნია პეტერბურგში თავისი წარმომადგენელნი, რათა იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რომ საზოგადოებათ იჯარით გადაეცეთ კავკასიის ის სამკურნალო წყლები, რომელთა ექსპლოატაციას ჯერ არავინ შესდგომია.

*** 8 ნოემბერს, ტფილისის კადეტთა კორპუსმა 25 წლის იუბილეი იდღესასწაულა. მწირველი ბრძანდებოდა გორის ეპისკოპოსი კირიონი. წირვას, სხვათა შორის, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინიც დაესწრო.

*** ტფილისის გუბერნატორის თან. აღმასრულებელმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ცხინვალის ქსენონში ფერშალი ბებია ქალი იქმნას მიწვეული.

*** სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში შეუდგება მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს მიერ შემუშავებულ სამეურნეო კურსების პროექტის განხილვას.

*** როგორც „ხ. მიმ." ქუთაისიდგან ატყობინებენ, განზრახვა აქვთ ლეჩხუმის მაზრაში მდინ. რიონზედ ახალი ხიდი გამართონ. ეს ხიდი 8 ათასი მან. დაჯდება თურმე.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სამუშაო ფულის დარიგების დროს იმ მუშებისათვის, რომელთაც საკანგებო საქმეებზედ იწვევენ ლაინდაგის გაფუჭების ან სხვა სამუშაო დროს, შედგენილ იქმნას ხოლმე სია მისაცემ ფულისა და დეპეშით ეცნობოს გამგეობას. ამასთან აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე ისიც, რა დროსთვის და რამდენი ფული უნდა გაეგზავნოთ. ფულის დარიგება ამ წესით უნდა მოხდეს: 1) დანიშნულ დროს მუშები ერთადგილას უნდა შეიკრიბნენ, 2) ფული კანტროლის წარმომადგენელის თანადასწრებით უნდა დაურიგდეთ, 3) მუშები ერთ დღის განმავლობაში უნდა იქმნენ გასტუმრებულნი და სხვა.

*** 16 ნოემბერს პალატის 1 დეპარტამენტში დანიშნულია განსახილველად საქმე ჭიათურის პოლიციის ბოქაულად ნამყოფის არდიშვილისა და საჩხერის პოლიციის ბოქაულად ნამყოფის გაბრიელ ფიცხელაურისა, რომელთაც სამსახურის დროს დანაშაულის ჩადენა ჰბრალდებათ.

*** სოფ. სნო. დიდის ხნის მეცადინეობის შემდეგ ძლივს ჩვენც გვედირსა სკოლა, რომლის შენობაც 17 ენკენისთვეს აკურთხეს. სკოლა ერთ კლასიანია. კურთხევას დაესწრნენ თვით პატივცემული ინსპექტორი კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებისა ბ-ნი ე. მამინაიშვილი და ახლო-მახლო სოფლების წარმომადგენელნი სამღვდელო და ერის კაცნი. წირვაზედ ბ-ნმა ე. მამინაიშვილმა საზოგადოებას სიტყვით მიჰმართა, სადაც მან ნათლად აუხსნა ამავე დღეს წაკითხული სახარება და დასძინა, რომ ყოველი ბედნიერება ხალხისა და კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ მისს სულისა და გონების განვითარება-გასპეტაკებაზედ და ამის მისაღწევად უპირველეს საშუალებად დაუსახა ეკკლესია და სკოლა. წირვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გადახდილი. პარაკლისს შემდეგ დამსწრენი სკოლისავე შენობაში სოფლის საზოგადოების მიერ გამართულს სადილზედ იქმნენ მიწვეულნი. ამავე დღეს შესდგა ბავშვების მისაღები სია. მსურველები თითქმის ასამდის იყვნენ, მაგრამ, უადგილობისა გამო, მხოლოდ სამოც-და-სამი იქმნა მიღებული, თერთმეტი ქალი; დანარჩენი ვაჟები. რადგანაც უარის მიმღებნი ძლიერ უკმაყოფილონი დარჩნენ, მათ სანუგეშოდ ინსპექტორმა ბ-ნმა ე. მამინაიშვილმა საკვირაო სკოლის დაარსება აღუთქვა, რომელიც, ვგონებ, ჩქარა გაიხსნება. საზოგადოებამ ერთობ დიდი მადლობა უძღვნა მამინაიშვილს ამნაირის თანაგრძნობისათვის და სკოლისათვის შეძლების და გვარი განუწყვეტელი ზრუნვა და დახმარება აღუთქვა. მადლობის ღირსნი არიან ბ-ნის მამინაიშვილის გარდა ადგილობრივი მღვდელი მ. გიორგი სირაძე და ადგილობრივი მცხოვრები მამასახლისი გიორგი შიოლაშვილი, რომლებმაც ამ სკოლის დაარსებას ერთობ დიდი დვაწლი დასდეს.

*** ოთხშაბათს, 8 ნოემბერს, ღამით ტფილისის მოქალაქეთა გამგეობაში, რომელიც მოთავსებულია ტფილისის მცხოვრების საკოვის სახლში, პოლიციის მესამე ნაწილში, ვიღაც ბოროტ განმზრახველთ გაუტეხიათ გამგეობის საფულე კასსა, საიდგანაც ამოუღიათ 836 მან. 56 კაპ. ერთი რევოლვერი და ვერცხლის ჯაჭვი. გამოძიებით დამნაშავე აღმოჩნდა იმავე მოქალაქეთა გამგეობის მოსამსახურე გორის მაზრის მცხოვრები გიორგი შავლოხაშვილი, რომელიც ტფილისის მეორე განყოფილების გამომძიებლის განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნა.

*** ოთხშაბას, 8 ნოემბერს, პოლიციის მესამე ნაწილში გოლოვინის პროსპექტზედ, ნაშუადღევის 1 საათზედ თუმანოვის ქუჩაზედ მცხოვრები მეეტლე არსენა ფრუიძე გაუფრთხილებლობისა გამო დაეტაკა ქუჩაზედ მიმავალს რაჭის მაზრის სოფ. ხოტევის მცხოვრებს იასონ გურგენიძეს, ქვეშ მოიტანა და დააშავა. დამნაშავე მეეტლე ფრუიძე პასუხის-გებაში იქმნა მიცემული.

*** ხუთშაბათს, 9 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გაირჩა საქმე მიხეილ ვარდაშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდებოდა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია ვარდაშვილი და გარდაუწყვეტია ზოგიერთ უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლის ვადით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

*** ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცავს შესწირა ვახტანგ დავითის ძემ ქართველიშვილმა ორი წიგნი: 1, დავითნი მხედრულად, დაბეჭდილი მოსკოვს 1824 წ. და 2, Историческое изображеніе Грузіи въ политическомъ, церковномъ и учебномъ ея состояніи. Сочинено въ Александро-Невской Академіи. С.-Петербургъ 1802 г.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" წარსულ კვირის, 5 ნოემბრის, მე-242 №-რის ფელეტონში „საუბარი მკითხველთან" მკითხველისა, შემდეგი თვალ საჩინო კორრექტურული შეცდომაა უკანასკნელს სვეტში, სადაც მუშათა რიცხვის შესადარებელი სტატისტიკური ცნობებია მოყვანილი. დაბეჭდილია „მუშათა რიცხვი შედარებით მთელ ხალხთან შეადგენდა საფრანგეთში 1856 წ. 29,1% და 1886 წ.—75,2%", ეს უკანასკნელი რიცხვი უნდა იყოს: „25,2%".

## ქუთაისის ქალაქის საბჭო

6 ნოემბერი

საბჭოს თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ლ. თ. ლოლუა. ამ შემოდგომაზედ ჯერ ასეთი მრავალრიცხოვანი კრება არ მომხდარა; ამ კრებაზედ უნდა გადაწყვეტილიყო ფრიად საინტერესო საგნები. ჯერ განხილულ იქმნა გამგეობის მოხსენება, რომლითაც საბჭოს ურჩევდა, რომ ქალაქისათვის წყლის გამოყვანის საქმეების დასაჩქარებლად საჭირო არის ქალაქის მოურავი პეტერბურგს გაიგზავნოსო. ამ მოგზაურობისათვის გამგეობა საჭიროდ სთვლიდა ათას მანეთს, რომლისაგან ექვსასი ქალაქს უნდა ეკისრნა, ხოლო ოთხასი ინჟინერს მიხაილოვს აღეთქვა.

საზოგადოდ თითქმის ყველა ხმოსნები წინააღმდეგნი იყვნენ ამ ჟამად ქალაქის მოურავის პეტერბურგში გაგზავნისა, რადგანაც შემდეგში, როცა მრავალ სხვა საქმისათვისაც საჭირო იქმნებოდა შუამდგომლობა, მაშინ გაეგზავნათ იგი. ზოგიერთი ხმოსანი გარეშე კაცისაგან ოთხასის მანეთის მიღებას თაკილობდა, ზოგი კიდევ საუმჯობესოდ სთვლიდა კერძო კაცებისათვის (თავ. ი. ნაკაშიძისა და ბ-ნ ნ. ნიკოლაძისათვის) მიენდოთ ამ საგანზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობა. ბოლოს ეს საგანი კენჭის ყრით გათავდა. ერთის ხმის უმეტესობით გადაწყდა მოურავის გაგზავნა პეტერბურგს.

ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოხსენება ხსენებულის ტაძრისათვის ჟანდარმის პოლკოვნიკად ნამყოფის ბ-ნ ქორქაშვილის მნათედ არჩევის შესახებ. საბჭომ ეს წინადადებაც კენჭის ყრით გადაწყვიტა და ქორქაშვილი აირჩია. ცხარე ბაასი გამოიწვია ხმოსან პურადაშვილის განცხადებამ საქალაქო აფთიაქის დაარსების შესახებ. ეს საკითხი ერთ წელიწადზედ მეტია რაც საბჭოს საკამათო საგნად გამხდარა. ეხლა ორისთვის ვადა ღა შერჩენიათ. თუ ამ ხნის განმავლობაში ქალაქმა აფთიაქის დაარსება ვერ მოასწრო, ვადას დაჰკარგავს და ამის გამო იმ დიდს სარგებლობასაც, რაიცა აუცილებლად მოჰყვება აფთიაქის დაარსებას. საგუბერნიო მთავრობა უარს ეუბნება აფთიაქის დაარსებაზედ იმ უბნებში, სადაც ქალაქსა ჰსურს, და ამის გამო საქმეს დასასრული აღარ მიეცა. ხმოსანი თხოულობდა, რომ საგუბერნიო გამგეობის გარდაწყვეტილება სენატში განესაჩივრებინათ და ამასთან ვადის განგრძობისათვის ეშუამდგომლათ. ეს წინადადება საბჭომ უარ ჰყო და გარდასწყვიტა ხმის უმეტესობით, რათა ქალაქის გამგეობას მიენდოს დაუყოვნებლივ ანგარიშის შედგენა, აფთიაქისათვის სადგომის მოძებნა, წამლებისა და სხვა და-სხვა მოწყობილების შეძენა, აგრეთვე არჩევა ქალაქის იმ ნაწილისა, სადაც უნდა გაიმართოს აფთიაქი, და სააფთიაქო სახლის დაქირავება. თუ ვადაზედ არ მოესწრო აფთიაქის გამართვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში საჭიროდ დაინახეს განსაჩივრებაც და ვადის განგრძობის შესახებაც შუამდგომლობა.

ბოლოს უნდა ამოერჩიათ გამგეობის წევრი, ბ-ნ ალ. მ. გაბაშვილის მაგიერ, რომელსაც ამ თვეში ვადა გაუვიდა. ქალაქის მოურავმა წაიკითხა ბ-ნ გაბაშვილის განცხადება, რომ მას აღარა ჰსურს შემდეგისათვის კენჭი იყაროს ამ თანამდებობაზედ. ამის შემდეგ კანდიდატად გამოცხადებულ იქმნა გრ. ი. გველესიანი. მეტოქე აღარავის დაუსახელებია. ხმოსანთა უმრავლესობა აცხადებდა სურვილს, რომ წევრის არჩევა გადადებულიყო შემდეგის კრებისათვის, რადგანაც მანამდე შესაძლებელი იქმნებოდა სხვა კანდიდატიც აღმოჩენილიყო. გადადების შესახებ დიდი ბაასი ასტყდა და კენჭი შეიქმნა საჭირო. მცირე უმეტესობით გადადება უარჰყო საბჭომ. დაუდგეს ბ-ნ გველესიანს ყუთი, რომელსაც თეთრი ამოუვიდა 35, ხოლო შავი 12.

კენჭის შემდეგ ხმ. ს. ბ. თოფურიამ განაცხადა, რომ ამდენი ხნის პატიოსნად და ერთგულად ნამსახურის კაცის ასე უმადლოდ და დაუჯილდოვებლად დატოვება უსამართლოდ მიმაჩნია, და საჭიროდ ვრაცხ, რომ ბ-ნ გაბაშვილს მადლობა გამოეცხადოს მთელის საბჭოს მხრით და ერთის წლის ჯამაგირიც ჯილდოდ მიეცესო. საბჭომ ამ საგანზედ მოლაპარაკება შემდეგის კრებისათ-

---

გაშორდნენ სახლს და მის მიდამოს, მაგრამ კოტე კი სულ უკან უკან იყურებოდა..

ბევრი იარეს... მიუახლოვდნენ ერთ სახლს, რომლის ფანჯრებიდგანაც ხან ცისფერი, ხან წითელი სინათლე გამოანათებდა ხოლმე... კარი გაიღო და ოთახში შევიდნენ. ოთახში ერთი დიდი მაგიდა იდგა, ზედ ათას ნაირი მანქანები და ჰიქები ეწყო. მართულები ობობას ქსელსავით იყო გაბმული ამ ოთახში. მაგიდას ერთ კუთხესთან სათვალეებიანი ჩამომხმარი კაცი იჯდა და ერთ ჰიქას ჩაჰკირკიტებდა, ისე იყო გართული თავისს საქმეში, რომ კოტე და მისი თანამგზავრი ვერ შენიშნა. კოტე მიხვდა, რომ ეს მოხუცი მეცნიერი იყო. „მისი სახელი მთელს დედამიწის ზურგზე ყველას პირზე აკერია, ყველა იცნობს, ყველას უკვირს და განცვიფრებაში შედის მისის გამოგონებით".. ჩასჩურჩულა მოხუცმა კოტეს..

პატარა ზარი დაწკარუნდა, ერთ მაგიდაზედ მეორე ოთახში სუფრა გადიშალა და თევზები დაეწყო. მეცნიერი მიუჯდა მაგიდას.. წამს ცხელი საჭმელები მიერთვა, მოსამსახურე-კი არსად სჩანდა. მეცნიერმა ჩქარა-ჩქარა ჭამა დაიწყო... გაათავა საუზმე... სავარძელში გადაწვა. ერთ ადგილას კედელზედ თითი მიადო... გაისმა საუცხოვო სიმღერა... კოტეს ჟრუანტელმა დაურბინა ტანში... ოცნება დაიწყო, კოტემ ინატრა მისი ბედი... კვლავ მოხუცმა გამოარკვია ოცნებიდგან, გარეთ გამოიყვანა და... გზას გაუდგნენ...

მიდიან ერთ ამწვანებულს გორაკზედ. კოტემ ადამიანი შენიშნა და დაუწყო ცქერა...

— ეს ხომ ქალია? დაეკითხა მოხუცს, მერე რა ლამაზი!.. მიუახლოვდნენ... ნამდვილი ანგელოზია! გრძნობით წარმოსთქვა კოტემ. რა მომხიბვლელი უმანკოების ღიმილი უქრთის ტუჩებზედ!.. ვინ არის, ვინ, ადამიანია თუ მოჩვენება!.. კვლავ დაეკითხა კოტე მოხუცს.

— ეგა?.. ეგ არის ის, რომელიც იბრძვის ადამიანთა ბედნიერებისათვის — ეგ არის, რომელიც სწუხს და ცრემლს აფრქვევს დევნილთა და განკიცხულთათვის... იფარავს და ანუგეშებს ქვრივ-ობლს. ეგ არის ის, რომელიც აუძგერებს შენისთანა ჰაბუკს გულს, აღაფრთოვანებს, მისცემს ძალას, იმ ძლიერ ძალას, რომელიც მედგრად შეებრძოლება უსამართლობა მტარვალობას, დასცემ-დაამხობს მონობას და აღადგენს დროშას თავისუფლებისას..

ეგ არის, რომელიც ყველას გულშია, ზოგი იტანჯვის, ზოგი ჰხარობს მითი... ეგ არის „სიყვარული".

კოტე აღელდა, საშინელმა ჟრუანტელმა დაურბინა ტანში, თმა აეწეწა და გაშტერებით შესცქეროდა ჰაეროვანს მოჩვენებას... გაჰქრა მოჩვენებაც და მოხუციც. კოტე იდგა იმ ადგილას, სადაც გზა სამად იყოფებოდა. წინ უზარ-მაზარი ალაყაფის კარები იდგა, რომელზედაც ეწერა „სამი გზა"-ო. გადაჰხედა ამ სამს გზას. ერთი მათგანი მიდიოდა იმ მდიდარ სახლისაკენ, რომლის წინ გადაჭიმული იყო ის საკვირველი ბაღი, კოტემ რომ ჰნახა, მეორე — მეცნიერის სახლთათ, მესამე — იმ საოცნებო ქალთან, რომლის სახეზედაც ისევ ის მომხიბვლელი ღიმილი ჰქროდა... „რომელს ირჩევ"? ჩასჩურჩულა რაღაცა ხმამ. კოტე სდუმდა და ჰღელავდა, მეტად ძნელი გადასაწყვეტი იყო, რომელი გზა აერჩია: სიმდიდრე, მეცნიერება, თუ სიყვარული... ყველა სანატრელი იყო მისთვის, არც ერთი არ ეთმობოდა...

— განა არ შეიძლება მდიდარიც ვიყო, მეცნიერიც და ქვეყნისათვის თავ-განწირულიც? დაეკითხა გონება...

— არა... მიიღო პასუხი... ერთ-ერთი უნდა ირჩიო...

— კოტეს ოფლს ასხავდა მეტის მღელვარებისაგან, აქეთ იქით იხედებოდა, მოხუცს ეძებდა, თითქოს უნდოდა დაჰკითხებოდა, რომელს მირჩევო?..

— ჰა... რა იყო შვილო, რასა ჰშფოთავ, ცუდი სიზმარი ხომ არა ჰნახე, გამოიღვიძე, გენაცვალოს დედა!..

კოტემ თვალები გააჭყიტა, იგრძნო, რომ სიზმარი იყო ნახული, და თავისუფლად ამოისუნთქა.

მ. მურვანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის გადასდო. ვნახოთ, ქუთაისის ქალაქის რჩეულნი როგორ დააფასებენ ზნეობითად და ნივთიერად ისეთს მუშაკს, რომელიც თითქმის 20 წელიწადი გულწრფელად და პატიოსნად ემსახურებოდა თვისს მოქალაქეებს.

ზ—ი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**დ. ცხინვალი**, 1 ნოემბერი. ცხინვალს მართალია დაბა ეწოდება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ისე არა ჰგავს დაბას, როგორც თქვენი უმორჩილესი მონა ჩინეთის იმპერატორს. ცხინვალი უფრო მიყრუებულს, სადღაც მივარდნილ-მივიწყებულს ერუ სოფელს ჰგავს, სადაც არავითარს მოძრაობას, სიცოცხლეს მნიშვნელობა არა აქვს. რაც გნებავთ სწერეთ, რაც გნებავთ ბრძანეთ, ცხინვალი ისევ ბუდეა ძველის სიბინძურისა, უმოძრაობისა, უსიცოცხლობისა, უაზრობისა. თუ სადმე ორი-სამი ადამიანი შეიყრება, მხოლოდ იმიტომ, რომ ითამაშონ ნარდი, ლოტო, ქაღალდი და ღვინო სვან. სხვა უკეთესი აზრი ცხინვალელებს არა აქვთ. ამ წინაზედ ხმა დადიოდა, ცხინვალზე რკინის გზა უნდა გაიდეს, კავკავის დედათა საეპარქიო ექვს-კლასიანი სკოლა ცხინვალში უნდა გადმოიტანონო, მაგრამ ერთიც და მეორეც ჯერ მხოლოდ ოცნების ნაყოფია, ნამდვილად არა სჩანს-რა. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: ვინ ცხინვალი და ვინ რკინის გზა, ან დედათა ექვს კლასიანი სასწავლებელი, როდესაც მცხოვრებლებს გულმტკივნეულება არაფერშა ეტყობათ, ასე უზრუნველად ძილი ყველაფერს ურჩევნიათ. ნათქვამია: თუ ბავშვი არ შემოგტირის, კვერს ნუ დაუკრავო...

შარშან ზამთარს აქ წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, რომლიდგანაც შემოვიდა ხუთი თუმანი ფული ხარჯ გარეთ. წიგნთ-საცავის ხსენება ჯერ არსად არის და, ცამ ჩაუდაბა, თუ დედამიწამ ეს ფული, ვერა გავიგეთ-რა. როგორც გვახსოვს, ფული ადგილობრივს ბოქაულს გადაეცა ხაზინაში წარსადგენად იმ განზრახვით, რომ, როდესაც ახალს ნება-რთვას მიიღებდნენ სამკითხველოსას, ფული გამოეტანათ მზრუნველს წევრებსა და დანიშნულებისამებრ მოეხმარებინათ, გაიგზავნა თუ არა ფული, არ ვიცით და წიგნთ-საცავსაც ღრმა ძილით სძინავს. კარგი იქნებოდა, თუ ვინმემ უწყის ამ ფულის ბედი, გამოაქვეყნოს გაზეთის საშუალებით, სად ინახება იგი. არა იქნა-რა და ჩვენს ქუჩის ფარნებს არა ეშველა-რა: ვაი გამვლელ-გამომვლელის ბრალდიცა ამ ძანძახებში! თუ ვისმე თავი არ ებრალება, აქაურს ბნელს ქუჩებში უნდა იაროს...

ამ ერთი კვირის წინად აქ საშინელი სეტყვა მოვიდა, მეორე დღეს მოჰყვა თოვლი და თითქმის ნახევარ არშინამდე დასდო. თოვლი დღესაც აუღებელია. წრეულს აქეთ ღვინის მოსავალი ერთობ მცირეა და, რაც არის, ისიც უხეირო. ტკბილის ფასმა აიწია, ასე რომ კოკა რვა მანეთიდგან თუმნამდის იყიდება. ტკბილი რომ ასე იყიდება, ღვინის ფასი რა უნდა იყოს? აქეთ ბავშვების ავადმყოფობაა გავრცელებული.

ვინც გგონივართ, ისა არა ვარ

## რუსეთი

მიწად-მოქმედების სამინისტროში არსდება განსაკუთრებული კომისია. კომისიას მინდობილი ექნება იმ ზომების შემუშავება, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქმნება გლეხთა მეურნეობის განვითარება და გაძლიერება.

— უწმ. სინოდს, როგორც ვუწყით, აზრადა ჰქონდა გადაედო 1901 წლისათვის დამატებითი თანხად 3,506,000 მანეთი სამრევლო-საეკკლესიო სკოლების საჭიროებათათვის, უმთავრესად კი მასწავლებელთა ჯამაგირების მოსამატებლად. როგორც ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, უწმ. სინოდს ეს განზრახვა მიუტოვებია და გადაუწყვეტია იმდენივე დახარჯოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებზედ, რამდენიც ამ მიმდინარე წელს დახარჯა.

— „Сѣв. Кур.“ სიტყვით, ფინანსთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ხარკოვში შემდგარ რუს ინჟინერთა არტელისა. არტელს აზრადა აქვს საერთო მუშაობას მიჰყოს ხელი იმ საქმეებში, რასაც ტეხნიკასთანა აქვს კავშირი. ამ აზრით არტელი გამართავს სატეხნიკო კანტორებს, იკისრებს ყოველგვარ საალმშენებლო, საინჟინერო და სატეხნიკო სამუშაოების შესრულებას, გამართავს საკუთარ გამოსაცდელ სადგურებს, მექანიკურ ღ ქიმიურ ლაბორატორიებს, წიგნთ-საცავებს, გამოფენებს, მუზეებს, სახელოსნოებს, ქარხნებს, საწყობებს და მაღაზიებს. არტელს ნება აქვს დააარსოს რუსეთის სხვა ადგილებში განყოფილებანი, კანტორები და ბიუროები, იყოლიოს აგენტები და სხვა.

— ოქტომბერში ორლოვის გუბერნიის ქალ. სვიშნიახში ადგილობრივმა მემამულემ ქ-ნმა კოლოპენსკისამ დააარსა ქალთათვის მეურნეობის პრაქტიკული სკოლა.

— როგორც „Од. Лист.“-ი გადმოგვცემს, ქ. ანანიევში (ხერსონ. გუბერნ.) შემდგარა ამხანაგობა, რომელსაც აზრად ვენახების გაშენება აქვს. ქალაქის საბჭომ ამხანაგობას 30 წლის ვადით 40 დესეტინა მიწა გადასცა ვენახისათვის.

— მიწად-მოქმედების სამინისტრომ მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ნ. ა. კარიშევი საზღვარ გარედ გაჰგზავნა იმის შესასწავლად, თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში როგორა კრებამენ სამეურნეო სასტატისტიკო ცნობებს.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბევრისათვის სრულიად გაუგებარი იქნება, რომ ინგლისელთა ძლიერებამა და ურიცხვმა მხედრობამ ბურები ვერ დაიმორჩილა და ვერ დაარწმუნა, რომ მაინც დაბოლოს გამარჯვებულნი ბრძოლის ველზედ ინგლისელები დარჩებიან, თუმცა, მართალია, ეს გამარჯვება ერთი ათად მეტის ზარალით იქმნება მოპოვებული ინგლისელებისაგან. ბურების პირველი და უმთავრესი გამამხნევებელი, ეჭვი არ არის, ის გრძნობაა, რომელსაც სამშობლოს სიყვარული და დამოუკიდებლობა ეწოდება, მაგრამ არა-ნაკლები გავლენა აქვს აგრეთვე მეორე გრძნობას — სიძულვილს მტრისას — მისის ბარბაროსულის მოქმედებისა გამო, რომელსაც ინგლისელები ბურებთან ბრძოლაში იჩენენ. არა ერთხელ და ორჯელ გვქონია აღნიშნული, თუ ამ მხრივ ინგლისელებმა თავი როგორ ისახელეს და აი, ეხლაც მოგვყავს ერთი ასეთი წერილი, რომელიც გენერალის დევეტის ცოლისათვის გაუგზავნია ერთს ბურის ცოლს: „შარშან ამ დროს რომ ეთქვა ვისმე, ერთის წლის შემდეგ, ე. ი. 1900 წლის დამლევს, უთვლად უშემწეოდა და უპატრონოდ ივლით უცხო მხარესაო, მე, რასაკვირველია, პირველი არ დავიჯერებდი და სისულელედ ჩავთვლიდი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემთან ერთად ვინ იცის რამდენი სულია ახლა ამ გაჭირვებაში კაპშტადტში? აგერ უკვე ორი დღეა, რაც ამ უზარმაზარს უცხო ქალაქში ვარ და უთუოდ სიცივე და შიმშილი მომკლავდა, თუ თქვენგან მოულოდნელად დახმარება არ მიმეღო.

შარშან ოქტომბერში ჩემი სამი შვილი და ქმარი ომში წავიდნენ. იანვარში პირმშო შვილი მომიკლეს. მართალია, ცხარე ცრემლით ვსტიროდი ჩემს ძვირფასს პირმშოს, მაგრამ ერთს წამსაც არ დამინანია, რომ იგი სამშობლოს გულისათვის იქმნა მოკლული, სამშობლოსათვის, რომელიც ესრე მხურვალედ, გატაცებით უყვარდა! მან თავი მამულს შესწირა, რომლისათვისაცვე დაანთხია სისხლი მისმა მამა-პაპამა. მეორედ მეხი იმ ამბავმა დამცა თავს, რომ შევიტყე, — ჩემი ქმარი და ჩემი ორი შვილი კუნძულ ცეილონზედ გაეგზავნათ. ოჰ, რომ იცოდეთ, რა ძნელი და მწველი იყო ის აზრი, რომ უძვირფასესნი ქმნილებანი უზარმაზარი ოკეანეთი იყვნენ ჩემგან დაშორებულნი. ჩემ გვერდით მხოლოდ ჩემი 9 წლის ქალი და 13 წლის ვაჟიშვილი დარჩნენ. აგვისტოს დამლევს ხმა გავრცელდა, რომ დევეტი ვენეპერის მახლობლად იმყოფებაო. გულმა სიხარულით დაგვიწყო ფეთქა, რომ საბრალო, უპატრონოდ დატოვებულს დედაკაცებს ამიერიდგან მფარველი გაგვიჩნდებოდა.

მას შემდეგ, რაც ინგლისელი ჯარისკაცები ჩვენს მიდამოებში გაჩნდნენ, ერთს წამს მოსვენება აღარა გვქონია. იგინი მოურიდებლადა და უკითხავად შემოდიოდნენ ჩვენს სახლებში და, რაც-კი მოეწონებოდათ, ყოველივე მიჰქონდათ.

ჩვენ, უპატრონოდა და უშემწეოდ დატოვებულს დედაკაცებს, იმისი უფლებაც-კი არა გვქონდა, რომ ღამ-ღამით მეზობლები ერთად შევყრილიყავით და ღამე ისე გაგვეთია: თითოეული ბურის დედაკაცი თუ ქალი მოვალე იყო ღამე თავისს სახლში გაეთია, თუნდაც ადამიანის ჭაჭანებაც-კი არა ყოფილიყო სახლში. ამ დროს მე საშინელი გულის ფრიალი მქონდა და ვერასგზით ვერ გამოვითხოვე ნებართვა, რომ ერთს ჩემს მეზობელს ქალს ღამე ჩემთანა სძინებოდა ხოლმე.

31 აგვისტოს, თავს ახალი უბედურება დამატყდა: პოლიციის ორმა აგენტმა ეზოდგან შვილი მომტაცა. როდესაც სახლიდგან გამოვვარდი და დავეკითხე, სად მიგყავთ მეთქი, უგულოებმა ცივად მიპასუხეს, რომ ბაზუტოლანდში უნდა წავიყვანოთო დროებით. გაგიჟებულმა შვილისკენ მივიწიე, რომ გამოვეთხოვებოდი და მეკოცნა მაინც, მაგრამ ახლოც არ მიმიშვეს. გული სევდით მისკდებოდა, საშინლად ვიტანჯებოდი და აღარ ვიცოდი ეს ახალი უბედურება როგორ-ღა ამეტანა, მაგრამ ეს არ მაკმარეს.

კვირას, შუა-ღამისას, ვიღამაც კარი დაგვიკაკუნა. „დედაო, — მითხრა ჩემმა პატარა ქალმა, — ეს უთუოდ ინგლისელი ჯარის-კაცი იქნება და კარებს ნუ გაუღებო“. მაგრამ კარების გაუღებლობა შეუძლებელი იყო. საჩქაროდ ტანისამოსი გადვიცვი და კარები გავაღე. ოთახში შემოვიდა ორი პოლიციელი აგენტი და მითხრეს: „ხუთი წამის ვადას გაძლევთ; ჩაიცვით. თქვენ ახლავე ფერმას თავს დაანებებთ და ჩვენთან წამოხვალთ. უკან რამდენისამე დღის შემდეგ დაგაბრუნებთ“. მე ვთხოვე ნება მოეცათ, რომ სახლი მეზობლებისათვის მაინც ჩამებარებინა, მაგრამ უარი მითხრეს. როდესაც ვკითხე, რა მიზეზია, რომ ასე სასტიკად მეპყრობით და ჩემს საკუთარს სახლშიც-კი აღარ მაყენებთ-მეთქი, პასუხად ის მითხრეს, რომ მთავრობის ნება ასეაო. არაფრის წამოღების ნება არ მომცეს და ერთი საბანი-ღა შემრჩა. მე და ჩემი ქალი მთელს ღამეს სიცივით ვკანკალებდით და მხოლოდ დილით-ღა შევთბით ცოტათი, როდესაც ბლუმფონტენისკენ მიმავალს რკინის გზის ვაგონში ჩაგვსხეს. ბილეთი მომცეს, მაგრამ ხმა არავის გაუცია. მატარებელი დაიძრა. წარსული ღამის საზარლობით იქამდის ვიყავი შეშინებული, რომ ფიქრი აღარაფერზედ არ შემეძლო. არასოდეს ფიქრადაც-კი არ მომივიდოდა, რომ კაპშტადტში გამგზავნიდნენ, მაგრამ ბილეთი ჰმოწმობდა ამასა და აბა რას ვიზამდი? უფულოდ, უსაჭმლოდა და უტანისამოსოდ (ეს იყო ზამთარში!) უზარ მაზარს ქალაქშა გავჩნდი.

ჩემდა საბედნიეროდ ჩვენს ვაგონში ერთის ჰოლლანდიელის პასტორის ცოლი იჯდა. ამ ქალმა, რაც-კი შეეძლო, ჩვენთვის ყოველივე იღონა. არასოდეს არ დამავიწყდება ის მარტოობის გრძნობა, რომელიც ამ უცხო ქალაქში განვიცადე. სად უნდა წავსულიყავ, არ ვიცოდი? ვინ მიშველიდა მარტოს, უფულოს? ვიღამაც ტრანსვაალიდგან გამოქცეულთა დამხმარებელ კომიტეტთან მიმასწავლა. მაგრამ როდესაც შეიტყეს, რომ მე ბურებისა ვიყავი, მოკლედ მოგვიჭრეს პასუხი: „არა, თქვენ ვერას დაგეხმარებით, რადგანაც თქვენი ჯარისკაცები ჩვენებს ებრძვიანო“. მაინც პასტორ ვაკ გეფდენთან მიმასწავლეს. გეფდენმა მაშინვე ბინა გამიჩინა, სადაც მეგობრულადა და ტკბილად მიმიღეს. ჩემსავე დღეში ასი და ორასი ბურის დედაკაცი სხვა არის, რომლებიც კაპშტადტში გადმოასახლეს და რომლებმაც, ვინ იცის, რა ტანჯვა-წვალება არ გამოიარეს: გასათხოვარს ქალებს დედების თვალ-წინ აუპატიურებენ და სხ. განა შესაძლებელი-ღაა ამის შემდეგ ინგლისელებს დავმორჩილდეთ? ჩვენ მზად ვართ, თუნდაც მთელი რამდენიმე წელიწადი ვიბრძოლოთ და ვიტანჯოთ, ოღონდ დამოუკიდებლობა და თავისუფლება როგორმე დავიბრუნოთო“. ჭეშმარიტად, ძნელია ამის შემდეგ მორჩილებაზედ დაპარაკი!

**ინგლისი.** ინგლისის ახალი მინისტრების შესახებ „Westminster Gazette“-ში შემდეგი საყურადღებო ცნობაა დაბეჭდილი: როგორც გაზეთს გამოუკვლევია, კაბინეტის 20 წევრისაგან 13 სხვა-და-სხვა სააქციონერო ამხანაგობათა დირექტორი თურმეა; ზოგიერთი მათგანი ორისა და სამის ამხანაგობის წევრად თურმე ითვლება, მაგალითად: თვით პრემიერი, ლორდ-კანცლერი, ხაზანის კანცლერი, ჭერმოკი დევონშარის და სხ. დირექტორებად არ არიან ლანდსოუნი და ჩემბერლენი, მაგრამ საიდუმლოდ აქვთ რაიმე დამოკიდებულება სააქციონერო საზოგადოებებთან თუ არა, ეს რასაკვირველია, არავინ იცის. არა ნაკლებ საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ კაბინეტში ამ ჟამად თითქმის სულ ლორდის სოლსბერის ნათესავები არიან თავმოყრილნი: ხაზინის პირველი ლორდის ადგილი სოლსბერის დისწულს არტურ ბალფურს უჭირავს, სავაჭრო დეპარტამენტის პრეზიდენტის ადგილი — უმცროსს დისწულს ჯერალდ ბალფურს, ფლოტის მინისტრად სოლსბერის სიძე გრაფი სელბორნია, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად მისი უფროსი შვილი ლორდი კრანბორნი. მართალია, არტურ ბალფური ერთი შესანიშნავ კაცთაგანია მთელს კაბინეტში, მაგრამ იგივ არ ითქმის ჯერარდ ბალფურის შესახებ. მაგრამ ყველაზედ საკვირველი-კი ის არის, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგად ლორდი კრანბორნია დანიშნულიო. პირველი მინისტრის უფროსს შვილს ჯერ თავი არაფრით უსახელებია, გარდა იმისა, რომ ინგლისელთა ეკკლესიაში წვრიმალი უთანხმოება შეჰქონდა. უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს სოლსბერის უმცროსი შვილი ლორდი სესილი, რომელიც მამას ძალიან წააგავსო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთი რუსული ჟურნალი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს შაქრის წარმოებისა და ხმარების შესახებ. ამ გაზეთის სიტყვით, მთელ დედამიწაზედ ბაზარში გააქვთ გასასყიდად შაქრის ლერწმისგან მომზადებული შაქარი—220 მილიონი ფუთი, ხოლო ჭარხლისაგან მომზადებული—265 მილიონი ფუთი, სულ-კი 485 მილიონი ფუთი. ამ რიცხვში არ არის ჩათვლილი მხოლოდ ის შაქარი, რომელსაც ჩინეთსა და ინდოეთში ხმარობენ, ევროპაში შაქარს ცოტასა ხმარობენ, რადგანაც დიდი გადასახადი ადევს. თუ გადასახადი რამდენად მოქმედებს შაქრის გავრცელებაზედ, სჩანს იქიდგან, რომ ინგლისში, სადაც შაქარს გარდასახადი არ ადევს, წელიწადში თითო კაცზედ ორთაშუა რიცხვით მოდის $2^1/_2$ ფუთი შაქარი, რუსეთში-კი, სადაც გადასახადი ადევს, კაცზედ სულ $9^1/_2$ გირვანქა მოდის. სხვაგან თუმცა გადასახადი ადევს შაქარს, მაგრამ რუსეთთან შედარებით მეტსა ხმარობენ. შეერთებულ შტატებში კაცზედ 70,2 გირვანქა მოდის, დანიაში—62,2 გირ., შვეიცარიაში—42,9 გირ., შვეციაში—37,1 გ., ჰოლანდიაში—28,8 გირ., საფრანგეთში—28.1 გირ. და გერმანიაში—25,8 გირვანქა. აქედგან აშკარა ხდება, რომ რუსეთში შაქრის გაუვრცელებლობის მიზეზი მარტო აქციზი არ არის (რუსეთში ერთ ფუთ შაქარს 1 მან. 75 კაპ. აქციზი ადევს), არამედ ისიც, რომ მცხოვრებნი ჯერ მიჩვეული არ არიან იმის ხმარებას. თუ ვიანგარიშებთ მხოლოდ 25 მილიონ სულს, რომელნიც რუსეთში შაქარსა ხმარობენ, მაშინ კაცზედ წელიწადში 30 გირვანქა მოვა. რუსეთში გაცილებით ნაკლები ჭარხალი მოჰყავთ შაქრისათვის, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში. გერმანიაში, მაგალითად, $2^1/_2$-ჯელ მეტი მოჰყავთ. მაგრამ ამისდა მიუხედავად, მცხოვრებთა სიღარიბისა და შაქრის სიძვირის წყალობით, ხშირად რუსეთში მომზადებულ შაქარსაც-კი არა ჰყავს საკმაო მუშტარი თვით რუსეთშივე, ამიტომ იგი ინგლისში იყიდება ხოლმე თითქმის გროშის ფასად. 1896, 1897 და 1898 წელს, მაგალითად, რუსეთში ფუთი შაქარი ფასობდა: 4 მან. 78 კაპ., 4 მან. 85 კ., და 4 მან. 75 კაპ., ინგლისში რუსეთში მომზადებული ესევე შაქარი იყიდებოდა: 1 მან. 61 კ., 1 მან. 35 კ., და 1 მან. 57 კაპ. წერილის ავტორის ბ-ნ რადციგის აზრით, ჩვენი სახელმწიფო დიდ ზარალშია მფარველობითი სისტემისაგან, რომელიც კონკურენციას შეუ-

ძლებელსა ჰყოფს, რადგანაც უცხო-ქვეყნის შაქრის პატრონთ რუსეთში შემოტანის დროს მეტად დიდი გადასახადი უნდა გაიღონ. ავტორის სიტყვით სახელმწიფოს გაცილებით უფრო მეტი სარგებლობა ექმნება, რომ შემოსატან შაქარს გადასახადი დაუკლოს და აქციზიც 1 მან. 75 კაპეიკიდგან 40 კაპეიკამდე ჩამოიყვანოს.

* * *

ამ ბოლოს დროს მეცნიერებამ საზოგადოდ და მკურნალობამ კერძოდ მეტად დიდი ყურადღება მიაქცია მალიარიას, ციებ-ცხელებას, რომელიც უმთავრესად ჭაობიან ადგილებში ჩნდება ხოლმე. მეცნიერებამ უკვე დაამტკიცა, რომ ამ სენის გამავრცელებელი ჭაობიან ადგილებში დაბუდებული მწერები არიან. სენისა და იმის გამავრცელებელ მწერთა უფრო დაწვრილებით შესასწავლად ევროპიდგან რამდენიმე ექსპედიცია იქმნა გაგზავნილი ცხელ ქვეყნებში. ლივერპულის სამკურნალო სკოლამ, მაგალითად, მეცნიერთა ორი ექსპედიცია გაჰგზავნა დასავლეთ აფრიკაში, ლონდონის სამეფო საზოგადოებამ—ერთი ექსპედიცია საშუალო აფრიკაში, ლონდონის სამკურნალო სკოლამ—კამპანიაში. ამას გარდა მალიარიის შესწავლას შეუდგნენ იტალიაში მეცნიერნი ბინიამი, ჩელლი, გრასსი და სხვანი. ამავე აზრით გერმანიაში დაარსდა, პროფესორის ნოხტის მეთაურობით, განსაკუთრებული სამკურნალო სკოლა. უმთავრესად მალიარიას ავრცელებენ ორის ჯიშის მწერნი: „Anopheles“ „Culex“ (კოღო). პირველის ჯიშისა 22 სხვა და სხვა სახის მწერი აღმოაჩინეს, ხოლო მეორე ჯიშისა—90. ამ მწერების ერთი კბენაც-კი საკმაოა ციებ-ცხელების გასაჩენად. ლონდონში ერთი ყმაწვილი კაცი დასთანხმდა ეცადნათ მასზედ რა გავლენა ექმნება მწერის კბენას. მთელი ორი კვირა სიცხე განუწყვეტლივა ჰქონდა ამ კაცს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ნოემბერი

**ლონდონი.** როგორც კაპშტადტიდგან იუწყებიან კერძო ცნობებით, ტრანსვაალის დროებით პრეზიდენტი შალკ-ბურგერი ჰრილობათა გამო იოჰანესბურგის საავადმყოფოში გარდაცვლილა.

**შანჰაი.** იუწყებიან, რომ მოკავშირეებმა გარდასწყვიტეს სასტიკი ღონისძიებანი იხმარონ, რომ საქმე როგორმე მალე გამოარკვიონო.

ნანკინის მეფის მოადგილეს დაეკითხნენ პეკინიდგან: გარდაწყვეტილი პასუხი მოგვეცით სასახლეში სურსათის გზავნის საქმესთან რა დამოკიდებულება გაქვთო.

იუწყებიან, იმპერატრიცამ საიდუმლო ბრძანება გასცა, რომ ყველა მეფის მოადგილენი და გუბერნატორები დაუყოვნებლივ მოკავშირეთა წინააღმდეგ საბრძოლად მოემზადნენო.

სასახლეს დიდი სურვილი აქვს, რომ სინანფუს თავი დაანებოს, რადგანაც აქ ბევრს შევიწროებასა და უხერხულობასა ჰგრძნობენ, მაგრამ ტუნფუსიანისაგან არის სავსებით დამოკიდებული, რომელსაც სინანფუში სამოცი ათასი ჯარის-კაცი ჰყავსო.

**მარსელი.** ქალაქი ხალიჩებითა და ბაირაღებით არის მორთული. ქუჩები კრიუგერის მომლოდინე ხალხით გაჭედილია.

9 ნოემბერი

**პეტერბურგი.** სიმბირსკიდგანა, რეველიდგან, ნოვგოროდიდგან, პენზიდგან, სარატოვიდგან, კრონშტადტიდგან, ოდესსიდგანა და ვიტებსკიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოდ პარაკლისი გარდაუხდიათ.

**შანხაი.** ჩინელნი მოხელეები მეტად შეძრწუნებულნი არიან გერმანელების მოქმედებით: გუშინ საკმაოდ დიდი რაზმი გერმანელებისა თოფხანასთან სრულიად ახლო მივიდა, რომელიც უცხოელთა უბნის გარედ იმყოფება კარებები გაამაგრეს, ტოტაი ოფიცრებთან მივიდა, რომელიც დაუბრკოლებლივ გაუშვეს; ჯარი გარედ დარჩა.

**ლონდონი.** ხმა დადის, ვითომ ფელდმარშალი რობერტსი ცხენიდგან გადმოვარდნილიყვეს და ძლიერ დაშავებულიყვეს.

**ტიანძინი.** წარსულს ღამეს ტიანძინის მახლობლად დიდი სროლა ისმოდა, რადგანაც ხმა გავრცელდა; რომ ნემენცების უბანზედ იერიშის მიტანას აპირებენო, გერმანელებმა დარაჯი გააძლიერეს; ერთი რაზმის მტრის დასაზვერად მდინარის მეორე ნაპირზე დადგა, დანარჩენებმაც ბრძანება მიიღეს მზად ყოფილიყვნენ, მაგრამ არა მომხდარა რა. მაგრამ დღეს ხმა გავრცელდა, რომ „დიდის მუშტის აუარებელი ბრბო ტიანძინისა და პეკინისაკენ მოდისო და ამისგამო ინდოეთის ჯარებში მყოფნი ჩინელნი მსახურნი მთლად წავიდნენ, ასრევე მოიქცნენ სხვა უცხოელებთან მსახურნი ადგილობრივნი მცხოვრებნი; არც ამერიკელი და არც ინგლისელნი აფიცრები ამ ხმას სარწმუნოდ არა სთვლიან.

# ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო: „მუშათა კითხვა უწინდელ და ახლანდელ დროში“, პრ. რაინესბერგისა, თარგმ. ევგ. სოლორაშვილისა, გამ. კილაძისა და ამხანაგობის სტამბის მიერ. წიგნი 58 გვერს შეიცავს, სუფთად არის გამოცემული და ღირს სამ შაურად. ბოლოში წიგნს სიტყვების ახსნაცა აქვს დამატებული.

# განცხადებანი

„წიგნების გამომცემელ ქუთათურ ამხანაგობის“ გამგეობა ამით აცხადებს

## პრემიებს

სალიტერატურო ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად. პირობები შემდეგია: 1) საპრემიოთ წარმოდგენილ ორიგინალურ თხზულებაზედ დანიშნულია ღირსების კვალობაზედ: 150 მან., 100 მან. და 50 მან.; 2) პრემია შეიძლება მიეცეს ევროპის რომელიმე კლასსიკის თხზულების თარგმანსაც, ხოლო თუ იგი გადმოღებულია პირდაპირ უცხო ენიდამ. აქაც სამნაირი ჯილდოა: 70 მან., 50 მან. და 20 მან. ორივე შემთხვევაში (§§ I, II) უფრო სასურველია არა ვრცელი თხზულება.

შენიშვნა. თარგმანები არა პირდაპირ უცხო ენიდგან ან რუსის მწერალთა ნაწარმოებთა შეიძლება მხოლოდ პრემიის მიუცემლად დაჰბეჭდოს ამხანაგობამ თავის ხარჯით.

3) ყოველგვარი სალიტ. ნაწარმოები უნდა გამოეგზავნოს ამხანაგობას (ადრესი: Г. Кутаисъ, Кутаисск. книго-издат. Товарищ.) რაიმე დევიზის ზედ-წარწერით და დაბეჭდილი კონვერტით, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როცა წარმოგზავნილი ნაწარმოები ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად, 4) ვადა თხზულების გამოგზავნისა არის არა უგვიანეს 1 მარტისა 1902 წ.; 5) დაჯილდოვებულ თხზულების ავტორს პრემიის გარდა შეიძლება მიეცეს კიდევ გონორარი; 6) შედეგები კონკურსისა და აგრეთვე რეცენზია დაჯილდოვებულ თხზულებაზედ გამოცხადდება გაზეთებში; 7) ყოველი საპრემიოთ გამოგზავნილი ნაწარმოები კარგის ქართულის სალიტერატურო ენით უნდა იქმნეს დაწერილი; 8) პრემიები მიეცემა ავტორებს იმ ფულიდგან, რომელიც შემოუვა ამხანაგობას დაჯილდოვებულ წიგნის გასყიდვისაგან.

(10—6—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 11 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის საქმე ალასკაროვის სახლის ალაყაფის კარებიდგან მდინარე მტკვრამდე სეიდაბათის დახმართზედ, სიგრძით 65 საჟ. დაახლოვებით სამუშაო 1550 მანეთისა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—2)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

## ჰიგიენური

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

## გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—28)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты. Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |
| საერო დღესასწაული | „ | 25 |
| ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარკარეთელისა | „ | 50 |
| ნელიო და პატრაში, საყმ. მოთხრობა | „ | 10 |
| თამარ მეფე, ზ. ჭიჭინაძისა | „ | 10 |
| მეცნიერებისათვის წამებულნი | 1 | „ |
| ლაზარილიო | „ | 10 |
| დედა ანდერსენისა | „ | 8 |
| ჩვენი ძველი გმირები, გ. წერეთლისა | „ | 30 |
| ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილისა | „ | 40 |
| ისტორია ქართული სტამბისა | „ | 10 |
| უკვდავთა ღაღადებანი | „ | 15 |
| ქრისტინე, ნინოშვილისა | „ | 20 |

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




## ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

## „კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჰიქა —2 მან; პატარა —1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. საფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის საფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—9)

## ახალი მოდის ტანისამოსის ანდაზები

1900/1 წლის ნიმუშებისა, სქელს ქაღალდზედ, გამოსაჭრელ ტანისამოსის ზომისა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიფი ახალის სახელოებით | 40 | კ. | კაპოტ-პრინსეზი | 50 | კ. |
| ინგლისური პერანგი | 35 | „ | ტანისამოსი-პრინსეზი | 50 | „ |
| კოფტა მატინე ნაოჭებით | 40 | „ | სხვა-და-სხვა როტონდები | 60 | „ |
| სასეირნო იუბკა | 35 | „ | ჟაკეტ-საკი | 40 | „ |
| საბალო, ან საპატარძლო იუბკა | 50 | „ | მოკლე პალტო-საკი | 50 | „ |
| სადარბაზო იუბკა | 35 | „ | პალტო-საკი | 60 | „ |
| იუბკა ამაზონით | 75 | „ | ქურქი-საკი | 50 | „ |

ვინც თავის ზომას გაგზავნის ტანისამოსის გამოსაჭრელად, თითო გამოჭრა 20 კ. მეტი ღირს.

აგრეთვე გვაქვს გამოჭრილი ნიმუშები: ბავშვებისა (ქალისა და ვაჟის) მთელი ტანისამოსი 30 კაპეიკიდგან, მამაკაცთა (სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო წოდების კაცთათვის)—კატალოგით. ერთის ტანისამოსის ანდაზის გაგზავნა დაზღვეულის ბანდეროლით ღირს 11 კ. თუ რამდენიმეა დაკვეთილი, მაშინ ყოველ მეტის გასაგზავნად დაემატება 4 კ. ფულის გამოგზავნა ფოსტის მარკებით შეიძლება. ფასდადებით ანდაზები არ გაიგზავნება. ვინც ერთად 5 და მეტს ანდაზას გამოიწერს, მანეთზედ 25 კ. დაეთმობა.

ყველა მოდის ჟურნალთა მთავარი საწყობი

**ი. ა. პოზინისა**, მოსკოვი, ალექსანდრეს პასაჟი.

ჟურნალთა და ანდაზათა კატალოგი უფასოდ იგზავნება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე